

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აჭარის განათლების ფონდსა და უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი Save the Children International-ის საქართველოში წარმომადგენლობით ოფისს შორის

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი
19/08/2015

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აჭარის განათლების ფონდი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბატონი ირაკლი თავბერიძის სახით, და მეორეს მხრივ, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი Save the Children International-ის საქართველოში წარმომადგენლობითი ოფისი (შემდგომში „გადავარჩინოთ ბავშვები“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათია დეისაძის სახით (ერთად წოდებულნი როგორც „მხარეები“), ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საგანს წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აჭარის განათლების ფონდსა და „გადავარჩინოთ ბავშვებს“ შორის ურთიერთანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, უსაფრთხო გარემოს შექმნის, სწავლების ინოვაციური და ინკლუზიური მიდგომებით კატასტროფების რისკის შემცირების ხელშეწყობის საკითხებზე.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას იმოქმედონ ურთიერთ პატივისცემის პრინციპებით, დაიცვან ერთმანეთის კანონიერი ინტერესები და ჯეროვნად, სრული პასუხისმგებლობით შეასრულონ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულება, რაც გულისხმობს ტრენერთა კონკურსის ორგანიზებას და ტრენერების შერჩევას, ტრენერთა ტრენინგის ჩატარებასა და ტრენინგ-კურსების დაგეგმვა-ჩატარებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებში.

2.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „აჭარის განათლების ფონდი“ იღებს ვალდებულებას და პასუხისმგებლობას:

- ა) უზრუნველყოს ტრენერთა შერჩევის პროცესის ორგანიზება და ჩატარება;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს ტრენერთა ტრენინგის ჩატარებაში;
- გ) დაგეგმოს და განახორციელოს პროექტით გათვალისწინებული ტრენინგ-კურსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებში;
- დ) ტრენერთა ტრენინგი და პედაგოგთა ტრენინგები უზრუნველყოს საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

2.3. ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ იღებს ვალდებულებას და პასუხისმგებლობას:

- ა) მონაწილეობა მიიღოს ტრენერთა შერჩევისა და ტრენერთა ტრენინგის ორგანიზებასა და ჩატარებაში;
- ბ) მოამზადოს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს აჭარის განათლების ფონდს გადმოსცეს ტრენინგ-მოდულები;
- გ) საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ტრენერთა ტრენინგის ჩატარება (ტრენერთა ტრენინგის სახელფასო და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, სატრენინგო მასალის დაბეჭდვა და სხვა);

2.4. მხარეები ერთობლივად გასცემენ ტრენერთა ტრენინგისა და ტრენინგ-კურსის გავლის დამდასტურებელ სერთიფიკატს;

3. მემორანდუმის მოქმედების ვადა

- 3.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია ა.წ 31 დეკემბრამდე;
- 3.2. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე პირის მიერ, ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.
- 3.3. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებები ან მისი შეწყვეტა შესაძლებელია განხორციელდეს მხარეების მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე;

4. მხარეთა რეკვიზიტები

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „აჭარის განათლების ფონდი“

დირექტორი: _____ /ი. თავბერიძე/

მის: ქ. ბათუმი (6010), ბაგრატიონის ქ. 121

ტელ: (422) 248480

ელ. მისამართი: info@aef.ge

საიდენტიფიკაციო კოდი:

უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი „Save the Children International“-ის საქართველოში წარმომადგენლობითი ოფისი

დირექტორი : _____ /ნ. დეისაძე/

მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა #27ბ

ტელ: +99532 2244521; + 995591409501

